ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3782839

ნომერი: AR1566886

თარიღი : 24.12.2017

გაცემის თარიღი : 18.01.2018

გაცნობის თარიღი : 18.01.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა იუმაშევი , N 13 , მიმდებარედ , (ნაკვ. 02/010) / ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა ევროპა , N 4 / ქალაქი თბილისი , აეროპორტის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან სიხარულიძე პ/ნ 01024024502
- თბილისი საბურთალოს ქ. N 44 ბ. 39

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

1. წარმოდგენილი მინდობილობა არ არის მისაღები, რადგან ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრამდე. ასევე, შპს "გებრიუდერ ვაის"-ის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად ფიქსირდება ორი დირექტორი. წარმოსადგენია ორივე დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობა ან მინდობილობაზე ხელმომწერი პირის ერთპიროვნული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. ვინაიდან მიწის ნაკვეთი დატვირთულია იპოთეკით, წარმოსადგენია იპოთეკარების სათანადოდ დამოწმებული თანხმობები მშენებლობასთან დაკავშირებით. გაითვალისწინეთ, რომ თანხმობა გაცემული უნდა იყოს იპოთეკარის წესდებით განსაზღვრული წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ ან დამატებით წარმოადგინოთ ხელმომწერი პირების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.